პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

203 (901) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

## ყოველ მხრივ გამოვიყენოთ მანევრების გაკვეთილები.

მანევრები დასრულდა. ჩვენმა წითელმა ჯარმა უკვე ჯამი გაუკეთა მთელი წლის მუშაობას, გასინჯა თავისი საბრძოლო უნარი, სამხედრო და პოლიტიკური მომზადება.

როგორია მანევრების შედეგები? რა დაგვანახა მან? უსათუოდ დიდი მიღწევები. წარსულ წლეებთან შედარებით ჩვენი წითელი ჯარის სიძლიერე, მისი საბრძოლო უნარი ერთი ორად გაიზარდა.

მანევრებმა სავსებით დაგვანახეს ჩვენ თუ რამდენათ წავიდა წინ გამტკიცების და გაძლიერების გზაზე მუშურ გლეხური წითელი არმია. ყოველივე ამას მივაღწიეთ იმით, რომ წითელი არმიის თითეული წევრი დაწყებული წითელი არმიელით და გათავებული მეთაურით გულმოდგინეთ ეკიდებოდა თავის მოვალეობას, მხნედ და ენერგიულად მუშაობდა წითელი ჯარის საბრძოლო უნარის ასამაღლებლად და მის გასამტკიცებლად. ცხადია დიდია მანევრების ნაყოფი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან შეცდომები და ნაკლულევანებებიც აღნიშნა და დაგვანახა.

ამიტომაც ჩვენს მორიგ ამოცანას შეადგენს ამ ნაკლულევანებების გამოსწორება, გაწეული შეცდომების გათვალისწინება და მომავალში მათი თავიდან აცილება. და არა თუ მხოლოდ შეცდომების, არამედ მანევრების მთელი გამოცდილების გათვალისწინება და გამოყენება საჭირო მომავალ მუშაობაში.

არსებული მიღწევებით და წარმატებებით ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ. წარსულის მუშაობის გამოცდილება კარგად უნდა შეითვისოს თითეულ მებრძოლმა და მეტის ენერგიით და გულმოდგინებით უნდა განაგრძოს წითელი არმიის განმტკიცების და გაძლიერების საქმე. შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა თავისი სამხედრო ცოდნა და მანევრებზე მიღებული გამოცდილება უნდა მოახმარონ მოსახლეობის გასამხედროების საქმეს. ისინი ვინც დარჩებიან ყაზარმაში გამალებით უნდა ემზადონ იმისათვის, რათა გახდენ ღირსეული მასწავლებლები და ხელმძღვანელები ახალი შეკრებისა, რომელიც ამ ახლო ხანში გაეშურება წითელი ყაზარმისაკენ.

ამრიგად ყოველ მხრივ შევისწავლოთ მანევრების შედეგები, ჯეროვანად გამოვიყენოთ ისინი და მეტის ნაყოფიერობით განვარგძოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარის აწევისა და განმტკიცების საქმე.

## ცვალებადელო, დაუკავშირდი შენს გაზეთს.

გაზეთი საუკეთესო მეგობარია წითელი მეომრის. მასში იხატება მთელი მისი ცხოვრება და მუშაობა წითელ ყაზარმაში. გაზეთი აღნიშნავს როგორც მთელი წითელი არმიის ისე კერძოთ თითეული წითელ-არმიელის მიღწევებსა და ნაკლულევანებებს. გაზეთი ეხმარება წითელ მებრძოლს მის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში, ის იძლევა პასუხს წითელ-არმიელისათვის ყველა საჭირბოროტო საკითხებზე. გაზეთი განუყრელი ამხანაგია წითელ-არმიელის. ამიტომაც ცვალებადელი მოვიდა რა წითელ ყაზარმაში ის დაუყონებლივ უნდა დაუკავშირდეს თავის გაზეთს „წითელ-არმიელს".

ეს დაკავშირება გამოიხატება შემდეგში: უნდა მიაწოდოს კორესპონდენციები ნაწილის ცხოვრების და მუშაობის შესახებ გაზ. „წითელ-არმიელს", ყველა შენთვის გაუგებარ საკითხებზე უნდა მიმართო მას განმარტებისათვის. ამასთანავე ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყო მის გავრცელებას სოფლად.

წერილები უნდა სწერო სისტემატიურად და ხშირად, მასთან სწერო უსათუოდ სინამდვილე.

ამრიგად ცვალებადელი უნდა გახდეს ტერკორი. თავის წერილებში ის უნდა გამომდინარეობდეს ნაწილისა და მთელი წითელი არმიის კეთილდღეობის თვალსაზრისიდან.

სიმართლე—აი რა უნდა ახასიათებდეს ყოველი სამხედროს, ყოველი ტერკორის წერილს.

უნდა სწერო როგორც ნაკლისა ისე მიღწევების შესახებ. ტერკორის თითეული კორესპონდენცია ხელს უნდა უწყობდეს წითელი არმიის გამტკიცებას, გაძლიერებას და არა მისი რიგების შესუსტებას. 1901 წელში დაბადებულ ცვალებადელისათვის რომელიც უკვე იყო წითელ-არმიის რიგებში ყველა ზემონათქვამი არ არის ახალი რამ.

მაგრამ ყოველივე ამას კვლავ ვახსენებთ მას იმ მიზნით რომ მომავალში უკვე აღარ გადაავიწყდეს და ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე განუყრელი კავშირი გააბას თავის გაზეთთან არა მარტო იქ წითელ ყაზარმაში ტერშეკრების დროს, არამედ შეკრებათა გარეშეც, როცა ის თავის კერასთან იქნება.

ცვალებადელო სწერე შენს გაზეთში.

მუდამ მჭიდრო კავშირი გექონდეს მასთან!

ის შენი მეგობარია. შენც მუდამ მისი მეგობარი იყავ. გაავრცელე ის გლეხებში!

—ვ.

# ახალი რადიო-ამბები

## ქალთა პროფკავშირების დელეგაციის ანგარიშების დიდი გამარჯვება.

ქალთა პროფკავშირების დელეგაციის მოხსენება საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ ლონდონში დიდი წარმატებით იყიდება.

მოხსენების პირველი 12.000 ეკზემპლიარიანი გამოშვება უკვე გასაღდა. მოხსენება ხელმეორედ გამოდის.

## საზღვარგარეთელ მასწავლებელთა მეორე ჯგუფი მოსკოვში.

7 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა საზღვარგარეთელ მასწავლებელთა 14 კაცისაგან შემდგარი დელეგაციის მეორე ჯგუფი.

მათ შესახვედრად სადგურზე მივიდენ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცეკას, მოსკოვის სასწავლებლების და საბავშო სახლების წარმომადგენლები დროშებით, რომლებზედაც არის მისასალმებელი წარწერები გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს, განათლების კავშირის ცეკას წარმომადგენლებმა ანისიმოვმა და მოსკოვის განათლების კავშირის საგუბერნიო განყოფილების მდივანმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე კლემენსი.

დელეგატებს შორის არიან 3 ქალი. პარტიული მიმართულებით: 2 კომუნისტი, 5 სოციალ დემოკრატი და დანარჩენები კი უპარტიონი.

4 განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის აღმასკომის წევრები არიან.

## ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია მოსკოვში.

7 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის წევრების საპარლამენტო დელეგაცია.

დელეგაციამ ინახულა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრები ამხ. ენუქიძე და პოლუიანი.

თავის მისალმებაში ამხ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ ინგლისელ დელეგატებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. ს.ს.რ.კ. და ინგლისის დაახლოების საქმეში, მის მერე, რაც ისინი უშუალოთ გაეცნობიან საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ აპარატებს და კავშირის სამეურნეო მდგომარეობას.

დელეგაციის თავმჯდომარე უოლხიდმა მადლობა გადაუხადა ამხ. ენუქიძეს და გამოსთქვა თავისი გაკვირვება იმ წარმატებათა გამო, რომელიც ემჩნევა საბჭოთა კავშირს, კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

## მონასტრების დახურვა ოსმალეთში.

ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის ძალითაც უნდა დაიხურონ ყველა მონასტრები და მათ შენობებში მოთავსებული იქნება სასწავლებლები.

ბრძანება გამოწვეულია მით, რომ მონასტრების ბევრი მსახურები მონაწილეობას იღებდენ მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

## ბულგარეთი დოუესის კლანჭებში.

ერთი იტალიური გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს ბულგარეთის მთავრობის თავმჯდომარე ცანკოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთში უკანასკნელათ ძლიერ მწიფდება მდგომარეობა დოუესის გეგმის ბულგარეთზედაც გავრცელების მხრივ. მთავრობა ამ მიმართულებით ძლიერ მუშაობს და ამჟამად უკვე გამომუშავებულია დოუესის გეგმის შემოსაღებათ პროექტები და ზომები.

## ამხ. მასლოვის საქმე.

კომუნისტ მასლოვის საქმე, რომელიც ლეიპციგის საიმპერიო სასამართლოში ირჩევა იღებს ბრალდებისათვის ისეთ არა სასურველ ხასიათს, რომ გაზეთი „ფორვერტსიც" კი იძულებულია აღიაროს ბრალდების სრული უსაფუძლობა.

მასლოვი 15 თვეა, რაც დაპატიმრებულია. ავად არის ყურის და კუჭის ავადმყოფობით.



ამხ. მასლოვი.

## ინგლისი და ირაქი.

ინგლისის ახალშენთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ „თანამშრომლობის" გაგრძელება ინგლისსა და ირაქის მთავრობას შორის ხელშეკრულების ვადის გათავების შემდეგ არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯებს, პირიქით,—შესაძლებელია კიდეც შეამციროს ის.

როგორც ხჩანს, ეს განცხადება წარმოადგენს პასუხს იმ წრეების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ირაქზე ინგლისის მანდატის გაგრძელებას, რადგან ეს გამოიწვევდა ახალ გადასახადებს მოსახლეობაზე.

გარდა ამ ფინანსიურ მოსაზრებისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისის ზოგიერთ ლიბერალურ წრეებში ფიქრობენ, რომ მანდატის გაგრძელება ირაქზე შექმნის ომის საფრთხეს და გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას ინგლისის იმპერიის მუსლიმანებს შორის.

# ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

ბულგარეთის სახელმწიფო საკრებულოს აგრარიების ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა სოფიის ტაძრის აფეთქებისას 16 დეპუტატის დაკარგვის შესახებ. აღნიშნული დეპუტატები ეკუთვნოდენ აგრარიების პარტიას.

# სამეცნიერო აკადემიის ორასი წ. თავი

### საზეიმო სხდომა.

6 სექტემბერს მოხდა სამეცნიერო აკადემიის საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა—კარპინსკიმ რუსულ და ფრანგულ ენებზე. ორკესტრი უკრავდა ინტერნაციონალს.

როცა ინტერნაციონალი დამთავრდა მთავრობის ლოჟიდან მოისმა წამოძახილი: „გაუმარჯოს მეცნიერებას, გაუმარჯოს შრომას".

კარპინსკი ამბობს მოკლე სიტყვას რუსულ და ფრანგულ ენებზე სამეცნიერო აკადემიის მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა კალინინი.

მან სთქვა, რომ რევოლიუციამდი მეცნიერების ნაყოფის უდიდესი ნაწილს იყენებდა ბურჟუაზია, ეხლა კი ის უნდა გახდეს „მშრომელ კაცობრიობის მასების მეცნიერებად".

რადგანაც, რომ სამეცნიერო აკადემია მთავრობის გადაწყვეტილებით გახდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიად, ამიტომ დიდი მან დახმარება უნდა გაუწიოს მოკავშირე რესპუბლიკებს და ავტონომიურ ოლქებს მათი ენის და კულტურის განვითარების საქმეში.

დღეიდან აკადემიამ თავი უნდა მოუყაროს ყველა იმ შემოქმედებს სხვა და სხვა ერებისას, რომლებიც მოსახლეობენ ჩვენს კავშირში.

შემდეგ კალინინმა წაიკითხა საბჭ. კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მილოცვის ტექსტი სამეცნიერო აკადემიისადმი.

ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა, რომლის შინაარსი უნდა იქნეს ძირიანად გადახალისება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეურნეობის კოლექტიურ და შეგნებულ ხელმძღვანელობის საფუძვლებზე თვით საზოგადოების მიერ, რომელშიაც ადგილი არ ექნება კლასებად დაყოფას.

ეს დიადი ისტორიული ამოცანა, რომლის განხორციელებაც იქნება კაცობრიობის გამარჯვება ბუნების ბრმა ძალებზე, შეუძლებელია მეცნიერების დაუხმარებლად. სოციალისტურ საზოგადოებას ყველაზე უფრო ესაჭიროება, როგორც განყენებული, ისე პრაქტიკული სამეცნიერო დისციპლინები.

მეცნიერებას უნდა ექნეს კავშირი ხალხის ფართე მასებთან და მხოლოდ ამ პირობებში მეცნიერება მოიშორებს ძველ მონობის ბორკილს.

დღევანდელ მდგომარეობაში, როცა საბჭოთა კავშირი ძლიერია შიგნითაც და გარედაც, კავშირის მთავრობა უპირველეს ამოცანად ისახავს კავშირის ფართე სამეცნიერო მუშაობის უზრუნველყოფას და ცოდნის ფართედ გავრცელების საქმეს მილიონ მშრომელთა მასებში.

მეცნიერება ინტერნაციონალურია და თავისი არსებითი ბუნებით არ ითმენს ეროვნულ შეზღუდვას. მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობით მეცნიერებას შეუძლია წინსვლა.

კავშირის მთავრობა ულოცავს მეცნიერული აზრის წარმომადგენლებს სამეცნიერო აკადემიის დღესასწაულს და თავის მხრივ შეეცდება ყოველ მხრივ დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მათ შემდეგ მუშაობს.

ცაკის თავმჯდომარე კალინინი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კამენევი.

საბჭ. კავშირის ცაკის მდივანი ენუქიძე.

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ჩვენი პარტიის სიმტკიცე და სიძლიერე გამოიხატება პარტიის რკინისებურ დისციპლინაში, რომლის რომელიმე მუხლის დარღვევისათვის პარტიის წევრი სასტიკად დაისჯება.

ვინც აღნიშნულ წესდებას არ იცავს და არღვევს რომელიმე მის მუხლს ასეთ პირს ადგილი არ აქვს ჩვენს რიგებში და თუ აღმოუჩნდა მას დროულათ გავაძევებთ პარტიიდგან.

მაგრამ პარტიის რიგებში აქვს სხვა მოვლენებსაც ადგილი, რომელიც თავის შინაარსით ეწინააღმდეგება პარტიის ეთიკას, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებასაც. ასეთი სახე დანაშაულის არც ერთი პარტიის წევრს არ ეპატიება, მას სჯის როგორც პარტია აგრეთვე ხელისუფლებაც.

ასეთი ორ სასჯელიანობის გატარება ცხოვრებაში დაადასტურა მეთორმეტე პარტკონფერენციამ რაც ერთობ მიზანშეწონილია თანამედროვე პირობებში.

წინათ კი თუ ვინმე პარტიის წევრი ჩაიდენდა სისხლის სამართლის სახის დანაშაულს, მისი საქმე ირჩეოდა პარტიის საკონტროლო ორგანოებში და იქ წყდებოდა საქმე. მართალია ხთებოდა გამონაკლისი, სისხლის სამართლის დანაშაულობის ჩამდენი პარტიის წევრის საქმეებს არჩევდა სასამართლოები, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმეები უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი დანაშაულის ხასიათის. თუ დანაშაულობას წვრიმალი ხასიათი ქონდა სისხ. სამართლის არ არჩევდა სასამართლოებში, არამედ ირჩეოდა საკონტ- კომისიებში. ეხლა კი მეთორმეტე, პარტ-კონფერენციის დადგენილებების თანახმად რევოლიუციონური კანონების წინაშე პასუხის მგებელია, როგორც მოქალაქე აგრეთვე პარტიის წევრი. ამ შემთხვევაში პარტიის წევრის საქმეს თუ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული მის საქმეზე ყოველივე პარტ-ორგანიზაციების გარეშე პროკურატურა ახთენს· გამოძიებას და მას ამ ძიების დროს ვერავინ ხელს ვერ შეუშლის, არც ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება რაიმე ხელი შეუშალონ, ან ზეგავლენა მოახთინოს გამოძიების პროცესში.

აღსანიშნავია ისეც, რომ როდესაც პარტიის წევრს აძლევს პროკურორი პასუხისაგებაში ამ შემთხვევას ის აცნობებს პარტიულ ორგანოს ცნობათ და როდესაც სასამართლო მოისმენს საქმეს შემდეგ გადადის გასარჩევათ პარტიულ ხაზით, სადაც მეორეთ იქნება მსჯავრი გამოტანილი. ასე რომ პარტიის წევრი თუ მან ჩაიდინა სისხ. სამართლის დანაშაული ის ისჯება სამართლის წესით და პარტიული ხაზითაც. აღნიშნული დადგენილება, რომელიც გამოიტანა მეთორმეტე პარტკონფერენციამ უკვე ტარდება, როგორც ჩვენს ე.-ი. სამხედრო ორგანოებში აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებში და მის გატარებას ცხოვრებაში ხელი უნდა შეუწყოს ყველა პარტიის წევრებმა და ორგანიზაციებმა.

ს. ლომიძე.

# ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲣᲤᲐᲝᲚᲘᲢᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲕᲔᲐ.

მანევრების დამთავრების შემდეგ ნაწილები პირდაპირ ბრუნდებიან საზამთრო ბინებზე, სადაც შეუდგებიან წინასწარ მუშაობას 1902 წ. დაბადებულ მებრძოლების შევებულებაში გასამგზავრებლად.

შვებულებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს შესრულების შემდეგ, დაიწყება პირველი რიგის არმიელების განთავისუფლება. ამ რიგად პირველ ოქტომბრისთვის ეს მუშაობა დამთავრებული იქნება და უფპოლიტშემადგენლობის წინაშე დგება მთელი თავისი სიგრძე სიგანით ახალ წვეულების, 1903 წ. დაბადებულთა მიღების სამზადისის საკითხი. ნაწილის მთელი აპარატის მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს უმთავრესად იმაში, რომ ის მზად იყოს ახალ წვეულების მისაღებად.

თანახმად ცენტრიდან მიღებულ მითითებებისა, პირველ ოქტომბრიდან პირველ ნოემბრამდი, როცა ძველი მოსამსახურეების უმრავლესობა დათხოვნილი იქნება ჯარიდან, და ახალ წვეულებთ კი არ დაუწყიათ მოსვლა, სწორედ ამ პერიოდში უფპოლიტშემადგენლობა უნდა შეუდგეს მზადებას ახალწვეულებთან სამეცადინოთ, რომლებიც დაიწყებენ ჯარში მოსვლას მხოლოდ ნოემბრის თვეში.

უფპოლიტშემადგენლობის წინასწარ მუშაობაში უმთავრესად უნდა მიექცეს ყურადღება სწავლების შესწორებულ ნორმალურ გეგმას და ყველა საკითხების მეთოდიურად დამუშავებას, რომლებიც უნდა იქნას განვლილი ზამთრის პერიოდში 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულებთან.

ამ საკითხის შესახებ ადგილებზე არმიის მიერ იქნება მიცემული მითითებანი, უფპოლიტშემადგენლობამ კი ეს ამოცანები ოქტომრის თვის განმავლობაში უნდა შეასრულოს მთლიანად. ამასთან ერთად ნათქვამია, რომ ოქტომბრის თვე უნდა იყოს უფპოლიტშემადგენლობისთვის დასასვენებელ თვედ, მიუხედავად იმისა, რომ ამ თვეში მათ უნდა მოახდინონ სწავლების ნორმალურ გეგმის დამუშავება, რომელშიაც თვით უფპოლიტშემადგენლობაა დაინტერესებული, რაზედაც უარის თქმა არ შეუძლიათ, თუ გინდ რომ სავალდებულო არ ყოფილიყო ეს მათთვის.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ უფპოლიტშემადგენლობა შესძლებს მცირე დროს დახარჯვით ყველა ამ სამუშაოს რიგიანად შესრულებას და იშოვნის თავისუფალ დროს, საქმის ზიანის მიუყენებლად, დასასვენებლად და თავის ჯანმრთელობის აღსადგენად. ახალწვეულების მოსვლის შემდეგ ის შეუდგება მათი სწავლებას უფრო მეტი ენერგიით და სიხალისით.

ი. ბარ.

# ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ.

ქართული ტერ-ნაწილების ცვალებადთა საერთო შეკრება მიმდინარე წელში უფრო მცირე მაშტაბით სწარმოებს, ვიდრე ეს განზრახული იყო წლის დასაწყისში: 4 წლოვანების მაგივრად, შეკრება შეიცავს მხოლოდ 2 წლოვანებას. ეს გარემოება არა თუ არ აადვილებს შეკრების საერთო ტეხნიკას და არ ამცირებს შეკრების წინაშე წამოჭრილ ამოცანების რიცხვს, არამედ პირიქით, ამ უკანასკნელის ტეხნიკა და ამოცანები გადააქვს მკვირცხლ, შეგნებულ და მკაცრ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ მუშაობის არეში, რომელიც უნდა გამოიჩინონ ჩვენი ახალგაზრდა ტერ.ნაწილების კადრებმა შეკრების დროს.

პირველად ჩატარებული შეკრება უფრო აღრმავებს ამ მუშაობაში პასუხისმგებლობას. ის წარმატება, რომლითაც დათავდა 1902 წელში დაბადებულ ცვალებადთა შეკრება, საუკეთესო დამარწმუნებელია იმის, რომ არც საერთო შეკრებას გადაელობება წინ რაიმე ტეხნიკური დაბრკოლებები.

სულ სხვანაირადაა შეკრების საერთო ამოცანების განხორციელების საქმე და კერძოთ ერთი იმ ამოცანათაგანის, რომლის სათანადო გადაწყვეტით განისაზღვრება ტერნაწილების შემდეგი მუშაობა შეკრებათა შუალედ პერიოდში.

ერთ თავის წერილში ტერ-აღმშენებლობის საკითხების შესახებ ამხ. ფრენზე მიუთითებს იმაზე, რომ „მუშაობის წესიერად დაყენების საუკეთესო პირობაა კადრის მიერ ცვალებად შემადგენლობისადმი და კადრის მუშაობის შეთანხმება ადგილობრივ სამოქალაქო ორგანოებთან.

პირველი მომენტი სისრულეში მოდის რაიონული განაწილების საასეულო უბნამდე დაყვანით და ცოცხალ საასეულო ცენტრების შექმნით, მეორე—თითეულ ადმინისტრატიულ-სამოქალაქო დაყოფის (მაზრა, რაიონი, თემი და სხვა) და სამხედრო მომუშავეების თანასწორი პასუხისმგებლობით, თავისი ნაწილის მდგომარეობისა და მომზადების საქმეში.

პირველი მომენტი ჩვენში—საქართველოში სწყდება დამაკმაყოფილებელზე მეტად, და ამით აიხსნება ჩვენი შეკრების ტეხნიკურად სისრულე.

მეორე მომენტი ჩვენი სინამდვილის პირობებში (პირველადი შეკრებები) მოითხოვს უფრო წესიერ-ორგანიზაციულ მიდგომას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უკვე ზოგიერთი მიღწევები. ჩვენი სამოქალაქო ორგანიზაციები უკვე ისე უყურებენ ტერნაწილებს, როგორც საკუთარ ნაწილებს და ამნაირად შეკრებებს უკვე ჩაყრილი აქვს ორგანიზაციული ფუძე.

ამ ჟამად საჭიროა ასე ვსთქვათ სული ჩაედგას ამ მუშაობას, საჭიროა უკვე ჩაყრილ ფაძირკველზე სათანადო შენობის აგება-კადრების ცოცხალი და აქტიური კავშირი გლეხურ მასებთან, რომ ჩათრეული იქნენ ეს მასები საბჭოთა საქართველოს შეიარაღებულ ძალების აღმშენებლობის საქმეში და ამით გაძლიერდეს მისი სამხედრო თავდაცვითი უნარიანობა.

ამ ამოცანის უფრო სწორი და რეალურ გადაწყვეტა იქნება ლოზუნგ „მშრომელთა გასამხედროები"-ს ცხოვრებაში ხორცის შესხმა.

მაგრამ თავის თავად ეს ლოზუნგი დარჩება უბრალო ხმაურობად, თუ მის დასაყრდენ ბაზად არ იქნა მოსახლეობის წერაკითხვის მცოდნეობა და კულტუროსნობა.

უნდა სიმართლე ითქვას, რომ თუ ეს მომენტი შედარებით ადვილად სწყდება ქალაქად, მის მოსაგვარებლად სოფელში დიდი ენერგია და სიმკვირცხლეა საჭირო იმ ორგანიზაციებისაგან, რომელთა უშვალო მოვალეობას შეადგენს მცხოვრებთა შეგნება განვითარებისა და კულტურული დონის აწევა.

შეუძლიათ თუ არა ამ კულტურულ ფრონტზე ჩვენმა ტერნაწილებმა ითამაშონ საბჭოთა საზოგადოებრიობისა და კულტურის დასაყრდენი როლი?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ცვალებადელთა უმთავრეს კონტიგენტს წარმოადგენს გლეხობა ტერნაწილებს არა თუ შეუძლიათ, არამედ ისინი კიდევაც უნდა წარმოადგენდენ საიმედო დასაყრდენს.

თუ ამ შემთხვევაში მიუბრუნდებით ჩვენს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტერორგანიზაციების გამოცდილებებს, თუ მხედველობაში მივიღებთ ამასთანავე ს. ს. რ. კ. შიგა ოლქების უფრო ძველ ტერ ნაწილების გამოცდილებებს, ჩვენ შევხედავთ, რომ როგორც პირველ ისე სხვა ნაწილებში, სახელდობრ ამ საკითხშია სუსტი სამხედრო-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდიური მხარე, აქ არ არის ის გარეგნული, ასე ვსთქვათ დინამიკა და ტერიტორიალური გაქანება, რომლებიც უნდა მოწმობდენ რომ აღნიშნული მუშაობით შეპყრობილი არიან გლეხური მასები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენად მეთოდიური მხრივ სწრაფად ვითარდება კადრებში საბჭოთა საზოგადოებრივობის სხვა და სხვა ფორმები, იმდენად უფრო მოიკოჭლებენ მეთოდები სოფლად.

ამ ჩვენი (ტერნაწილების) სისუსტის ერთ მიზეზად—ითვლება საკადრო აქტივის ღირსებათი სისუსტე.

ნ. დიმიტროვი.

(შემდეგი იქნება).

# ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲝ, ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲙᲘᲓᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ



მეოთხე ლეგიონის ლენინის კუთხე

## ᲢᲔᲠᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

მე-6 ლეგიონი.

ლეგიონის კლუბის გამგეობა დიდი ხნის წინეთ შეუდგა სამზადისს ცვალებადთა შესახვედრი საღამოს მოსაწყობათ. 5 სექტემბერს ლეგიონი შევსო სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსულ ტერარმიელებით. ყველას ხალისი და მხიარულება ეტყობა. ბანაკი გამშვენიერებულია. გაკეთებულია ლოზუნგები, როგორც ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ ისე გერმანულ ენებზე.

საღამოს 5 საათზე გვეწვია ჩვენი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა და გუნდები, რომლებიც ცალკე დგანან. ტერარმიელები ჯგუფჯგუფად საუბრობენ ბანაკის შთაბეჭდილებებზე. იგრიალა ლეგიონის მუსიკამ, გაკეთდა წრე და გაიმართა ცეკვა-თამაში.

საღამოს 8 საათზე გაიხსნა საზეიმო სხდომა, სადაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ლეგიონის თავი ამხ. გრიგოლია, რუსულათ სამხკომი ამხ. ცინცაძე, სომხურად ტერარმიელი სარუხანოვი, ქართულათ თორაძე, კომკავშირის მე-3 რაიკომის წარმომადგენელი გრძელაშვილი და ტერარმიელი გაბისონია.

საღამოზე უმთავრესად გაშუქდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის, ლეგიონის შევსება ცვალებადელებით და მე-3 რაიკომთან დაკავშირების მნიშვნელობა.

ყველა ამხანაგებმა გარკვევით გააშუქეს აღნიშნული საკითხები და მოუწოდებდენ, განსაკუთრებით ტერარმიელებს, რათა მთელი თავიანთი ენერგიით, მთელი თავიანთი ძალ-ღონით ჩაებან ჩვენს საერთო საქმიანობაში.

აღსანიშნავი იყო უმთავრესათ ტერარმიელ გაბისონიას სიტყვა, რომელმაც მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ცვალებადელებს.

მისალმებების შემდეგ გაიმართა საღამო მე-3 რაიკომის ძალებით. დაიდგა „მატყუარა ადოკატი“. პიესა სავსებით დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა, რისთვისაც ლეგკლუბის გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის მათ.

განზრახული იყო და მომზადებულიც ისეთი პიესის დადგმა, რომელზედაც მონაწილეობდნენ თათრები, რუსები, ქართველები და სომხები, მაგრამ საუბედუროთ ის ამხანაგი, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა გახდა ავათ. ამიტომ მისი დადგმა გადაიდო შემდეგისათვის.

სამხკორი № 9

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ.

1-ლ ლეგ. ბატარეია.

ჩვენი ბატარეიის წითელ არმიელების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ, მაგრამ თავიდანვე იმდენად დიდი იყო ჩვენში ცოდნისაკენ მისწრაფების სურვილი, რომ სულ მცირე ხნის განმავლობაში დავსძლიეთ წერა-კითხვის უცოდინარეობა. ამ ჟამად არც ერთი უცოდინარი არ მოიპოება ბატარეიაში. სამხედრო, პოლიტიკური და სხვა ცოდნა არა ნაკლებად გვაქვს შეძენილი. ასე რომ სხვა ნაწილებს ამ მხრივ არც ჩვენი ნაწილი ჩამოუვარდება.

გულის ფანცქალით მოელიან ამხანაგები იმ დღეს, როდესაც ისინი წავლენ შვებულებაში და საშვალება მიეცემათ წითელ ყაზარმაში შეძენილი ცოდნა გაუზიარონ თავის მეზობლებს. ჩვენ შესაფერად გამოვიყენებთ სოფლად ამ ცოდნას და მით გავამართლებთ ჩვენი აღმზრდელების იმედებს.

ფშნის პირელი.

## ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡ.

4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.

ამაწლის 30 აგვისტოს მოხდა აღნიშნულ ლეგიონის 2-რე ათასეულის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის მსმენელ ცვალებად წითელ-არმიელების გამოცდა.

გამოცდას დაესწრენ: ათასეულის მეთაური გაბუნია, პოლიტხელი კაკაბაძე, განათლების განყოფილების წარმომადგენელი ალავიძე, ძირედი და ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა წარმომადგენლებთან ერთად.

ათასეულში სულ უცოდინართა რიცხვი ყოფილა 41 კაცი, ამაში კარგად ჩააბარეს გამოცდები 15. დამაკმაყოფილებლად =17 და სუსტად 9. ამნაირად წერა-კითხვის უცოდინარი ათასეულში არავინ დარჩენილა.

1902 წ. დაბადებულთა გამოწვევისთანავე ათასეული ენერგიულად შეუდგა ამ დიადი საქმის გაკეთებას და კიდევაც სასახელოდ შესძლო მისი დაბოლოება.

ქ. ბალათურია.

# ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲖᲔ.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲖᲔᲓ.

25 აგვისტოს, როგორც სხვა ნაწილები ისე ჩვენი ნაწილის წ. არმიელები ველოდებოდით მანევრებზედ გამგზავრებას. ყოველგვარი საჭირო ნივთები სამი დღის წინ იქნა მომზადებული და ჩაწყობილი ორთვალებში. დღის 2 საათზე გამოჩნდენ ლეგიონები და ამათთან ერთად გავემგზავრეთ ჩვენც.

ყველა წ. არმიელებმა იცოდენ, რომ მანევრები დიდ გამოცდილებას იძლევა არა მარტო სამხედრო ცოდნაში, არამედ თვითეულმა წ. არმიელმა იცის რომ მანევრების დროს ის შეხვდება გლეხებს, გაეცნობს მათ ჩვენს ყოფა ცხოვრებას და აგრეთვე გაიგებს თუ სხვა და სხვა სოფლებში როგორ სცხოვრობენ გლეხები.

მანევრებმა მოგვცა საშვალება გვენახა ჯერ არ უნახავი სოფლები.

შედარებით პირველ მანევრებზე ჩვენი ნაწილი უფრო კარგი მომზადებული შეხვდა ეხლანდელ მანევრებს. ყოველგვარი საკითხები მოგვარებული იყო (როგორიც არის სურსათის საკითხი, საცვლები და სხვა) და წ. არმიელებიც უფრო კარგად ასრულებდენ ყოველგვარ საჭირო საქმეს: სადაც კი შევდიოდით სოფლებში მხიარულდებოდა იქაური არე მარე, იმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერები წ. არმიელებისაგან გლეხებთან ერთად, რომლებიც დიდის აღტაცებით გვეგებებოდენ. მანევრების დროს გვქონდა სურვილი ჩაგვეტარებია გლეხობასთან ერთად სავა და სხვა საუბრები, მოგვეწვია გაერთიანებული კრება, მაგრამ ამის უმთავრესი მიზეზი რომ ვერ შევძელით იყო, ის რომ ჩვენი ნაწილი იყო დაყოფილი ჯგუფებათ სხვა და სხვა სოფლებში ლეგიონებთან ერთად.

მიუხედავად ამისა შევძელით გზაში კედლის გაზეთის გამოშვება ს. ფცაში სადაც დავრჩით ერთი დღე. კედლის გაზეთში უმთავრესად მიუთითებდით სოფლებში არსებულ ნაკლულევანებაზე და მათ გამოსასწორებელ საშვალებებზე. წერილები მოგვაწოდეს გლეხებმაც.

სამხკორი ვ. ვანელი.

## ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

3-მე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი 25 აგვისტოდან გავიდა მანევრებზე და სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში შევასრულეთ მოცემული ამოცანა. მოქმედების დროს ბევრ სოფლებთან მოგვიხდა დამოკიდებულებაში ყოფნა, ბევრი რამ კარგი ვნახეთ, ბევრი რამ საგულისხმიერო გაუკეთებია გლეხობას გასაბჭოების დღიდან.

აღსანიშნავია სოფ. ნაცარგორა, სადაც გლეხებს გამოუყვანიათ წყარო, რომლის ქვით ამოშენებულ წინა პირზე შემდეგი წარწერაა გაკეთებული: „ამხ. ლენინის სახელობის წყარო, ნაცარ-გორელი გლეხობისაგან გაკეთებული“.

სოფელი მშვენივრად არის გასუფთავებული, გზები საუცხოვო და სხვა. ეტყობა სოფლის საბჭო ენერგიულად მოქმედებს.

ლეგიონი განცვიფრებული დარჩა იმ მიღებით და ყოველმხრივი დახმარებით, რომელსაც გვიწევდენ ჩვენ ადგილობრივი გლეხები.

ჩვენ ყოველმხრივად ვცდილობდით აგიტაცია-პროპაგანდის გაჩაღებისათვის და შეძლებისდაგვარად უზიარებდით მათ ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას.

ვაწყობდით ხშირად საღამოებს, გასამართლებებს და მოხსენებებს, რომლებსაც ყოველთვის მრავლად ესწრებოდა გლეხობა.

მანევრებმა კარგი შედეგები მოიტანა და საკმაო გამოცდილებანიც შევიძინეთ.

ა. ჩიქორელიძე.

## „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲮᲛᲐᲛ ᲒᲐᲡᲭᲠᲐ.

ქართული დივიზიების სამხედრო პროკურორი ჩვენს გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციებზე „გამოასწორეთ ნაკლულევანებანი“ (2-რე არტლეგიონი და 5-თე ლეგიონი) და „გლეხკომი არ გვეხმარება“ იტყობინება, რომ პირველ შემთხვევაში აღნიშნულ აწილებ ის უფროსებს მის მიერ მოეთხოვათ ახსნა-განმარტება და ნაკლულოვანებათა გამოსწორებისათვის ზრუნვა, ხოლო მეორე შემთხვევაში ამონაწერი გადაეგზავნა დასავლეთ საქართველოს პროკურორს, რომ სათანადო დახმარება გაეწიოს წითელ არმიელის ოჯახებს.

რედ.

## ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდი.

ჩვენს გუნდში 1-ლ სექტემბერს შესდგა ნაწილის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი გლეხთა ცენტრალური სახლის მნიშვნელობის შესახებ, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარგიშვილი. ამხანაგი შეეხო სახლის გახსნის მიზეზებს, რა როლი უნდა ითამაშოს მან გლეხობისათვის და როგორ სარგებლობას მოუტანს ის მათ.

თანამომხსენებელმაც უფრო გააფართოვა მოხსენება და ამნაირად არმიელებს სრული წარმოდგენა დარჩათ სახლზე. დარწმუნებული ვართ შვებულებაში წასვლის შემდეგ ამხანაგები ამის შემდეგ უფრო შესძლებენ გააცნონ გლეხობას აღნიშნული სახლის მნიშვნელობა და თუ როგორი სარგებლობა მოაქვს მას გლეხობისათვის.

წ. არმ. ის. ხარებავა.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲩᲝᲗᲥᲔᲑᲘ.

1-ლი ლეგიონის სასადილო.

ლეგიონს აქვს სასადილო წითელ არმიელებისათვის. მაგიდები ბლომად მოიპოება და ყველას აქვს საშვალება დამჯდარი ისადილოს, მაგრამ მაგიდები ძლიერ უსუფთაოდ ინახება. ამას გარდა წ. არმიელები დიდ უწესრიგობას იჩენენ სადილობის დროს. დაჯდებიან თუ არა პურის ნაჭერის სროლით უმასპინძლდებიან ერთმანეთს. სადილის გათავების შემდეგ სასადილო მაგიდებს საწმენდი ჩოთქების უქონლობის გამო სწმენდენ ნაგვიანი ცოცხებით.

საჭიროა ლეგიონის ექიმი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს უსუფთაობას.

მაგიდების საწმენდათ უნდა შეიძინონ საწმენდი ჩოთქები და არა ნაგვიანი ცოცხები.

სამხკორი პროზა.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ.

6 სექტემბერს, საღამოს შესდგა ტფილისის აღმასკომის სექციათა ბიუროების სხდომა.

**სახალხო განათლების**

სექციის 3-თვიანი მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სახალხო განათლების დარგში სექციის მუშაობის მიზანს შეადგენს ბავშვების სკოლებში მიღების საკითხის მოწესრიგება. სექციას მიზნათ აქვს დასახული, რომ სკოლის გარეშე არ დარჩენ სწავლის მსურველნი. ამისათვის საჭირო იქნება სწავლის მსურველთა რიცხვის გამოკვლევა და ამასთან დაკავშირებით სასკოლო ჯგუფების გახსნა. მეორე ამოცანათ სექციას დასახული აქვს სკოლათა, ბიბლიოთეკების და კლუბების გამოკვლევა. გარდა ამისა სექცია ფიქრობს მოახდინოს სკოლების შენობების ვარგისიანობის შემოწმება და დაზიანებული შენობები უნდა იქნან შეკეთებული სასწავლო წლისათვის.

**კომუნალურ სექციაში.**

კომუნალური სექციის მუშაობა მჭიდროთაა დაკავშირებული ქალაქის ბიუჯეტის გამომუშავებასთან. ამიტომ გადაწყდა გამომუშავებულ იქნას სექციის მუშაობის გეგმა ბიუჯეტის მიღების შემდეგ. ბიუჯეტთან წინასწარ გაცნობის მიზნით არჩეულ იქნა კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

გარდა ამისა სექციამ დაადგინა რეგულიარულათ იმართებოდეს სექციის წევრთა ექსკურსიები ქალაქის წარმოებებში, რომ უფრო საღ ნიადაგზე დადგეს აღნიშნულ წარმოებათა ანგარიშიანობა და სხვ.

**საფინანსო სექციაში.**

საფინანსო სექციის სხდომაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა:

1) აღმასკომის ყოველნაირი ფინანსიური ღონისძიებანი წინასწარ უნდა იქნას გარჩეული სექციის სხდომებზე.

2) წინადადება მიეცეს სექციის წევრებს დაწვრილებით გაეცნონ აღმასკომის განყოფილებების ფინანსიურ მდგომარეობას და

3) დაევალოს სექციის წევრებს თვალყური ადევნონ ბიუჯეტის თანახმად თანხების ხარჯვას. ამ მიზნით მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სექციის წევრები მიმაგრებულ იქნან განყოფილებებსა და წარმოებებთან.

# პარტიული ცხოვრება.

### 1-ლ ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლა.

4 სექტემბერს ლეგიონის სკოლაში შესდგა ახკომკავშირელთა ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა უჯრედის წევრი მახარაძე. ამხ. დაწვრილებით შეეხო ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიას და იმ ბრძოლას რომელსაც ისინი აწარმოებდენ თავიდანვე. მოხსენებას დიდი ყურადღებით უსმენდენ დამსწრე ამხანაგები, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია

მიმდინარე საკითხებში მოხდა კავშირის საზაფხულო პერიოდში წარმოებულ მუშაობის შეფასება რომელიც ვერ მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად.

მითითებული და გათვალისწინებული იქნა ყველა შეცდომები.

კრებამ გადასწყვიტა მეცადინეობის წარმოება მოხდეს კვირაში ორჯერ.

ახკორი ი. ზუმბაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

### 5-თე ლეგ. ახკომკავშირის უჯრედი.

25 აგვისტოს შესდგა ლეგიონის ახკომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება. დაესწრენ ყველა წევრები. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები 1) კავშირში დეზერტირობის შესახებ, 2) დეზერტირობასა და კრებებზე დაუსწრებლობასთან საბრძოლველი კომისიის არჩევა და 3) მიმდინარე საკითხები.

დეზერტირობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩხაიძე და გააცნო ამხანაგებს თუ როგორ ისჯებიან პარტ-დადგენილების ძალით დეზერტირები.

შემდეგ კრებამ აირჩია 5-თი კაცისაგან შემდგარი კომისია დეზერტირობასა და კრებაზე დაუსწრებლობასთან საბრძოლველად.

კომისიას დაევალა გამოირკვიოს დაწვრილებით თუ რა მიზეზით არ დაესწრებიან ზოგიერთი ამხანაგები კრებებს და სხვა.

კრება ამით დათავდა.

თ—ლი.

### 1-ლ ლეგიონის ა. ლ. კ. კ.-წევრები და უპარტიო არმიელები ტყავტრესტის უჯრედში.

ლეგიონის ახკომკავშირელთა წევრებს ეცნობა 5 სექტემბერს, რომ ტყავტრესტის უჯრედში შესდგებოდა საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის აღსანიშნავი საღამო.

ახკომკავშირელებთან ერთად უპარტიო წითელარმიელებიც გამოემგზავრენ და საღამოს დიდი პატივისცემით მიგვიღეს ტყავტრესტის ამხანაგებმა.

პირველად უჯრედმა გამართა სპორტმოვარჯიშეთა ვარჯიშობა, რომელიც ჩინებულად იქნა ჩატარებული. ამის შემდეგ უჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა გახსნა საზეიმო კრება, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყველა ერთი რწმენით და მისწრაფებით იყო გაჟღენთილი, ყველა აღუთქვამდა მუშათა ხელისუფლებას საჭიროების დროს თავდადებას.

სიტყვების შემდეგ უჯრედის ძალებით გაიმართა წარმოდგენა, რომელიც კარგად იქნა ჩატარებული.

ო—რია.

## მუშაობა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ.

(სტატისტიკური ცნობებიდან)

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუშაობდა სულ 2 ათას 476 კაცი. მათ შორის მუშების რიცხვი აღწევდა 2 ათას 129 კაცს და მოსამსახურეთა—347-ს. ეროვნული შემადგენლობის მხრივ უმრავლესობას შეადგენენ ქართველები. მუშებში ქართველებია 66 პროცენტი, ხოლო მოსამსახურეებში კი 70 პროცენტი.

არა კვალიფიციურ მუშათა დღიური ხელფასი საშუალოთ უდრის 1 მან. 40 კაპ. კვალიფიციური მუშები კი ღებულობენ—3 მ. 15 კაპ. ტეხნიკური თანამშრომლების დღიური ხელფასი უდრის 2 მან. 40 კაპ. ხოლო სპეციალისტების საშუალო დღიური ხელფასი გამოიხატება დაახლოებით 5 მან. 50 კაპ.

ნახევარი წლის განმავლობაში მარტო ხელფასის დარიგების სახით დახარჯული 645 ათას 744 მანეთი.

## ამბები სოფლებიდან

**საბეითლო პუნქტი ქარელში.**

ქარელის თემაღმასკომმა (გორის მაზრა) შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე ადგილობრივ საბეითლო პუნქტის გასახსნელათ.

**თივის დამზადება.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი შეუდგა მაზრაში თივის დამზადებას სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებათათვის.

**აღმშენებლობის გეგმა.**

ახალქალაქის აღმასკომმა მიიღო და მოიწონა ადგილობრივი მეურნ. განყოფილების მიერ შემუშავებული გეგმა მაზრაში საამშენებლო სამუშაოთა წარმოების შესახებ.

**ბანკი სენაკში.**

1-ლი სექტემბრიდან ქალ. ახალ-სენაკში დაიწყო მოქმედება ტფილისის კომუნალური ბანკის განყოფილებამ.

**მიწათ მოწყობის ჩატარება.**

უკვე ჩატარდა მიწათმოწყობა გორის მაზრის შემდეგ სოფლებში: ტინისხიდში, ოთარაშენში, თედო-წმინდაში, სვენეთში, დიდსა და პატარა გარეჯვარში და სოფ. კარალეთში.

**სამეურნეო იარაღების მიღება.**

ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო სას.-სამ. იარაღების პარტია და მათ შორის ერთი ტრაქტორიც.

**მეფუტკრეობა ოკრიბაში.**

ოკრიბაში მეფუტკრეობის განვითარების მიზნით მეფუტკრეობის მთავარმა ბიურომ გახსნა მოკლე ვადიანი კურსები მეფუტკრეობაზე.

## ახალი ამბები.

— **ქარ. დივიზიების პროკურატურასთან** დაარსდა სამხედრო მოსამსახურეთათვის იურიდიული დახმარების ბიურო.

— **მანქანების შეძენა.** საზოგადოება „აბრეშუმმა“ საზღვარ გარედ შეიძინა 10 ათასი მანეთის მანქანები.

— **საბინაო აღმშენებლობისათვის.** მიმდინარე წელში ტფილისის აღმასკომმა დაარიგა 13.282 კვად. საჟ. მიწა სახლების ასაგებათ.

— **ნაძალადევში შენდება** ზაჰესის ელექტრო-ენერგიის გარდამქმნელი სადგური. სადგურის აგება დასრულდება ახლო ხანში.

— **რკინის გაცემა.** ტრამვაის სამმართველომ ახალციხის მუშკოოპს მისცა ათასი ფუთი რკინა.

— **საქონლის ჭირი.** ტფილისის ახლოს, გერმანელების ახალშენში (ლიბკნეხტდორფში) გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **მევინეობისათვის.** საქ. სამეურნეო ბანკმა გადასდო 300 ათასი მანეთი მევინეთათვის სესხის მისაცემათ.

— **სამუსიკო იარაღების მაღაზია.** მუსიკალურმა წარმომადგენლობამ (მუზარედ) გახსნა მაღაზია ქუთაისში.

— **დახმარება უმუშევრებს.** აგვისტოს განმავლობაში ტფილისის დამზღვევმა კასამ დახმარების სახით დაურიგა დაზღვეულ უმუშევრებს 15.275 მანეთი.

— **შემოდგომის მატყლი.** შემოდგომაზე წარმოკავშირი ფიქრობს ჩააბაროს საზ-ბა „მატყლს“ 38 ათასი ფუთი შემოდგომის მატყლი.

— **ფართლეულობა გლეხებისათვის.** ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო დიდძალი საგლეხო მანუფაქტურა, რომლიდანაც სასოფლო კოოპერატივებს უკვე დაურიგეს 33 ათასი მანეთის ფართალი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### ბურთისებური ელვა.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ბურთისებურ ელვას საშინელი მსხვერპლი მოუტანია. ალბად ბევრს დაუნახავს ეს საშინელი ცეცხლის ბურთივით აგორებული ელვა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ყველაფერს ანადგურებს და ზოგ შემთხვევაში კი სრულიად უხმაუროდ გაივლის.

სოფლებში ასეთი სახის ელვა დიდ საშიშროებას იწვევს და რაღაც ღვთის წყრომათ მიაჩნიათ ის.

ამ იშვიათი მოვლენის გამომწვევი მიზეზები ჯერ კარგად არ არის შესწავლილი, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არავითარი ღვთის რისხვით მოვლენილი ის არ არის და არც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ადამიანის ავადმყოფობასთან.

სხვა და სხვა მეცნიერებს სულ სხვა და სხვანაირი შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ამ მოვლენის ბუნების შესახებ. დააყენეს მრავალი მეცნიერული ხასიათის ცდებიც. ყველაზე საინტერესოა გეზეხუზის ცდა. ის ხასდებდა ცვალებად ჩქერის 10 000 ვოლტიან ტრანსფორმატორის ერთ თავს წყალში, ხოლო მეორე პოლიუსს უერთებდა თარზულ სპილენძის ფირფიტას, რომელიც მოთავსებული იყო 2—3 სანტიმეტრის სიმაღლეზე წყლის ზედაპირიდან.

ამ დროს ფირფიტაზე შესამჩნევი იყო ელექტროობის აღძვრა ბრწყინვალე ბურთის სახით, რომელიც ოდნავი სულის შებერვით იცვლიდა ადგილს. როდესაც ამ ბურთის ჰფარავდენ მიწის ნაფრჩხვენებით, ჩნდებოდა რუხი ორთქლი, რომელიც გამოწვეული იყო აზოტის (ჰაერის შემადგენელი ნაწილია) დაჟანგვით.

ასეთი ცდების მიხედვით, გეზეხუსი ფიქრობს, რომ ბურთისებური ელვა თავის დასაწყისს იღებს აზოტის დაწვით, ძლიერ ელექტრონული დატენილობის ზეგავლენით.

ამნაირად ბურთისებური, ხშირად აგორებული ელვა, რომელსაც ისე უყურებენ სოფლად ღვთის მორწმუნე ხალხი, არის ისევ ჰაერის მოძრაობის ნაყოფი და მეტი არაფერი.

გეზეხუზის ცდა ამას ამტკიცებს დაახლოებით მაინც.

**პლანეტათაშორისო სივრცის ტემპერატურა.**

დედა მიწაზე გარს შემორტყმულ ატმოსფერის, იქით ძლიერ დაბალი ტემპერატურაა და ალბათ ახლოს არის აბსოლიუტურ $0^{0}$ გრადუსთან. ეს მტკიცდება იმ მაგალითით, რომ დედამიწიდან საგრძნობლად დაცილებულ სიმაღლეზე ატმოსფერაში აღმოაჩინეს გაყინული აზოტი, რომელიც მხოლოდ $210^{0}$ იყინება. პლანეტათა შორისო სივრცე ამას გარდა, რომ ასეთი ცივია, ამასთანავე სრულიად ცარიელია, იშვიათად თუ სადმე გამოჩნდება ეგრედ წოდებული მეტეორული მტვერი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა** ვარ ასეულის მეკუჭნავე. გთხოვთ მიპასუხოდ მეკუთვნის თუ არა განწესებაში გასვლა?

წ. არმ. **ხარბედია.**

**პასუხი.** საჭიროების დროს გაგიყვანენ.

**კითხვა.** მყავს ღრმად მოხუცებული მშობლები, რომლებიც ჩემს რჩენაზე იმყოფებიან. აღმოუჩენენ თუ არა მათ რაიმე დახმარებას ჩემი სამხედრო სამსახურის გათავებამდე?

წითელ არმ. **თავართქილაძე.**

**პასუხი.** თქვენს ოჯახს, როგორც წითელ არმიელისას, დახმარება უნდა აღმოუჩინოს აღმასკომმა.

**კითხვა.** ბანაკად გასვლის წინ წაგვიყვანეს კინოში. იქიდან დაბრუნებისას ჩემი მაზარა ვიღაცას მოეპარა. გთხოვთ მიპასუხოთ მომეცემა თუ არა სხვა მაზარა, ნაცვლად დაკარგულისა?

ათისთავი **უტიაშვილი.**

**პასუხი** უნდა მოხდეს კვლევა-ძიება და დამტკიცების შემდეგ, რომ თქვენ ნამდვილად მოგპარეს მაზარა, მოგეცემათ.

**კითხვა.** ვმსახურებ ტერნაწილში 15 ივლისიდან და გავათავებ სამხედრო სამსახურს 5 ოქტომბერს. მეძლევა თუ არა ჯამაგირი იმ დაწესებულებიდან, სადაც ვმსახურებდი?

**ნატაშვილი.**

**პასუხი.** ჯამაგირის ორი მესამედი გეძლევათ.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. გ. სიხარულიძეს** თქვენი წერილი „შვებულებაში მიმავალთ,“ არ გამოდგა.

**ამხ. ექიზაშვილს.** (პირ. ლეგ. სა?. გუნდი)—კორესპონდენცია „მოგვეცით ნამუშევარის ხელფასი,“ გამოგადგებათ ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ეხენ—ნალს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „კომენდანტის საყურადღებოთ“ არ გავა. ასეთი დაიბეჭდა თქვენი ნაწილიდან.

**ამხ. მ. ნოზაძეს** წერილი „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. ალ. ლომიას** (პირვ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „პირველი ლეგ. 5-თე ასეული“ არ გავა.

**ამხ. სურამელასპირელს** (2-რე საარტ.)—წერილი „ჩვენი ნაწილი ბანაკში“ არ გავა. ასეთი უკვე იყო.

**ამხ. ილ. ცერცვაძეს** (1-ლი ლეგ.)—წერილი „კარგია ექსკურსიებზე წასვლა“ არ დაიბეჭდება. ამაზე მოთავსდა ჩვენს გაზეთში.

**დაკარგე** კომკავშირის საწევრო ბარათი №1373, გაცემული თელავის კომკავშირის ორგანიზაციის მიერ, რემესლის საწევრო წიგნაკი №194, წითელ არმიელის წიგნაკი მოცემული 1-ლ მესანგრე ასეულის წითელ ლაშქრელზე ლუკა ხახუტაშვილზე, და იარაღის ტარების ნებართვა, ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.